სესხის გამცემი სუბიექტი - შპს „სტანდარტ +-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405480108) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სესხის გამცემი სუბიექტი - შპს „სტანდარტ +“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405480108) „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო 1,000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით დააჯარიმა. აღნიშნული ფულადი ჯარიმა ეფუძნება „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნის და „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევას.